**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 23**

**SMP190005122**

ქ. თბილისი 30.12.2019 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს იუჯითი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019წ 30 დეკემბრის. № 5365 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

## 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

## 3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 დატა-ცენტრის საინჟინრო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერისა და გარანტიის შესყიდვა. (CPV50310000 )
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ აღწერაში დანართი „პირობები და ვადები“, რომლებიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4350 (ოთხიათასსამასორმოცდაათი) ლარს;
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება-ჩაბარება დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ადგენენ და ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები;
6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი - კახა სარალიძე;

## 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

7.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით;
7.2 მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6;
თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორია;
7.3 ტექნიკის ნებისმიერი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეაკეთოს (მწყობრში მოიყვანოს) ისინი. ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრის მიზნით ჩაანაცვლოს იმავე ან უკეთესი მონაცემების მქონე ნაწილებით;
7.4 ინციდენტების აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შექმნას ელექტრონული პორტალის მომხმარებელი ან გამოყოს ელექტრონული ფოსტის მისამართი. ინციდენტზე საპასუხო ქმედებისთვის დადგენილი ვადის ათვლა იწყება ინციდენტის მიმწოდებლის მიერ გამოყოფილ ელექტრონულ მისამართზე მიღებიდან. მიმწოდებელი ასევე ვალდებულია შეთანხმებული ელექტრონული მისამართიდან მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ;
7.5 შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მიმწოდებლის წარმომადგენლების დაშვებას სისტემის განთავსების ადგილზე, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მივლინება ადგილზე;
7.6 შესაძლო გაუმართაობების თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში აღნიშნული ტექნიკის ძირითადი კომპონენტების ადგილზე დათვალიერება უნდა განხორციელდეს არანაკლებ ერთხელ და დასკვნის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება დათვალიერების სრული შედეგი, სისტემის მოსალოდნელი გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრის გზები და ვადები.
7.7 დატა-ცენტრის საინჟინრო ინფრასტრუქტურის აგრეგატების ჩამონათვალი:

- Rittal მონიტორინგის სისტემა
- Rittal უწყვეტი კვება (გარდა აკუმულატორებისა)
- Rittal კონდიცირების სისტემა
- ხანძრის აღმოჩენა/ქრობის სისტემა

7.8 Rittal ბრენდის კომპონენტებთან/მოწყობილობებთან მუშაობა დავალებული აქვს მიმწოდებლის სისტემურ ინჟინერს, მიხეილ მჭედლიშვილს;

## 8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.2. დაფინანსების წყარო: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, დანართით ,,პირობები და ვადები“ გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0, 2% ოდენობით.
12.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.

## 14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32
ს/კ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

**მიმწოდებელი:**
შპს იუჯითი
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 17ა
ს/ნ 204892964 სს საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

ერმილე სულაძე
გენერალური დირექტორი

UGT LLC Digitally signed by UGT LLC
Date: 2019.12.30 17:59:38 +04'00'

**საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**
დატა-ცენტრის საინჟინრო ინფრასტრუქტურის
მხარდაჭერის და გარანტიის ტექნიკური დავალება

დამკვეთი: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

| **შეთანხმების საგანი** | | **პარამეტრები და მოცულობები** |
|---|---|---|
| **გარანტია მოწყობილობა-დანადგარებზე**<br>• გარანტიით დაფარული აგრეგატების ჩამონათვალი | | • Rittal კონდიცირების სისტემა<br>• Rittal უწყვეტი კვება (გარდა აკუმულატორებისა)<br>• Rittal მონიტორინგის სისტემა<br>• ხანძრის აღმოჩენა/ქრობის სისტემა |
| ინციდენტების მოგვარება | მოშორებული | შეუზღუდავად |
| | ობიექტზე ვიზიტით | შეუზღუდავად |
| მხარდაჭერის მიწოდების პერიოდი | | 24 x 7 |
| პროფილაქტიკური შემოწმება | ობიექტზე ვიზიტით | ერთხელ |
| **რეაგირების დროები** | | |
| • პირველი ეტაპი: მოშორებული რეაგირება | | 1 საათი (სამუშაო საათები)<br>3 საათი (არასამუშაო საათები) |
| • მეორე ეტაპი - ობიექტზე ვიზიტი ( საჭიროების შემთხვევაში ) | | 4 საათის განმავლობაში |
| **პრობლემის დიაგნოსტირების დრო** | | |
| • მეტი წილი აპარატურული და პროგრამული პრობლემებისას | | 3 საათის განმავლობაში |
| • თუ პრობლემის დიაგნოსტირება მოითხოვს სისტემის გათიშვას | | დრო შეთანხმებული იქნება დამკვეთთან |
| **სისტემის აღდგენის დრო** | | დამოკიდებულია სათადარიგო ნაწილების ხელმისაწვდომობაზე |
| • მეტი წილი აპარატურული და პროგრამული პრობლემებისას | | 6 საათი დაზიანების მიზეზის დადგენიდან |
| • როცა სათადარიგო ნაწილები შესაკვეთია მწარმოებელთან | | არაუმეტეს 6 კვირა ნაწილების ჩამოტანაზე<br>6 საათი ნაწილების მიწოდებიდან |
| საკონსულტაციო ზარები და მიმოწერა | | შეუზღუდავად |
| მხარდაჭერა გადატანისას ან საპროფილაქტიკო სამუშაოებისას | | მხარდაჭერილია |
| შეთანხმების ხანგძლივობა | | 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით |